# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 165

„25“ ნოემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის V მ/რაიონში არსებული უსახელო სკვერისთვის საბავშვო ლიტერატურული ჟურნალი „დილა“–ს სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე–16 მუხლის მე–2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6–27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, გლდანის V მ/რაიონში მე–17 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს საბავშვო ლიტერატურული ჟურნალი „დილა“–ს სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6)

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი


საბავშვო ლიტერატურული
ჟურნალი "დილა"-ს სახელობის
სკვერი